ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 3-423862/12

"28." 02. 2017 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სოფელ დიღომში (საკ. კოდი №01.72.14.035.226) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შესახებ ბრძანება – №689232 15.05.2013წ.
მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №1544144 17.10.2014წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სოფელ დიღომში (საკ. კოდი №01.72.14.035.226) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ტერიტორიის კეთილმოწყობა არ არის დასრულებული. შეცვლილია ღობის ფორმა და დამატებულია ჭიშკარი.
მიწისზედა ავტოსადგომი: შეცვლილია ფორმა, გაზრდილია სიმაღლე და მიშენებულია ფართი. შეცვლილია ღიობების გაბარიტი, მასალა. დამატებულია კარი და ფანჯარა. დამატებულია გამწოვი მილი. ფასადები არ აირის შეღებილი.
საცხოვრებელი სახლი: ლითონის მოაჯირები ნაწილბრივ არ არის შეღებილი. შეცვლილია მათი ფერი და ნახატი. ნაწილობრივ შეცვლილია ღიობების ფორმა და ნახატი. მანსარდის სართულზე კაპიტალურის ნაცვლად მოწყობილია ლითონის მოაჯირები. გაუქმებულია გადახურვა და მოწყობილია აივნები. დამატებულია კონდიციონერები, გამათბობლის ქვაბები, სატელიტური თეფშები და წყლის მილები. სარდაფის სართულზე ფრამუგების ღიობები არ არის შევსებული. სახურავის ძირთან შეცვლილია კედლის ფორმა და დამატებულია ლითონის ფურცლები. სახურავზე დამატებულია სამრცხლეები.
X12-X1 ფასადი: სადარბაზოებში შესასვლელებთან შეცვლილია ღიობების ნახატი და გაბარიტი. შეცვლილია კიბის საფეხურების ფორმა და რაოდენობა, გაუქმებულია მოაჯირი. შეცვლილია შ.შ.მ.პ ანდუსის ფორმა. ფრამუგებზე დამატებულია გისოსები.
Y1-Y4 ფასადის ძირი გასალესი და შესაღებია.
ღობე ნაწილობრივ სცდება საკადასტრო წითელ ხაზებს.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ი.ბ.ა. „ახალი სახლი"-ს, ქ. თბილისში, სოფელ დიღომში (საკ. კოდი №01.72.14.035.226) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №423862/12 30.11.2016წ. განცხადება.
№წ-423862/12 05.12.2016წ. განცხადება.

სამსახურის უფროსის მოადგილე **გიორგი გეჯაძე**

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

KA980155744306017

№16/5174

06 / მარტი / 2017 წ.

ლეილა შენგელია გურამიშვილის გამზირი N 9, ბ 129

ქალბატონო ლეილა,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი N423862/12 განცხადების პასუხად გეგზავნებათ ბრძანება ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

დანართი: ბრძანების 1 (ერთი) ეგზემპლარი

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე